ორკუნძა ზოგიერთ საკეთილო ფიქსირებით დაცულ ბინებში, ნებისმიერი ცვლილების განხორციელამდე ინდივიდუალურ წესრიგით განსაზღვრის კონსულტაციის მიზნით შეიძლება მიმართოთ ავტორ ზედამხედველობის.

არ გამოსთა ნახაზებიდან.

ყველა ზომა გადამოწმებულ იქნეს.

ნებისმიერი ცვლილება ინდივიდუალურად განხილვის საჭიროებს ავტორ ზედამხედველობის.

ყველა ზომა მიღებულებულია, თუ არ არის ცალკეულად მითითებული სხვა განზომილება.

პროექტი

LISI RESIDENTIAL C3

01.10.18.006.196, ბანაკისა, საქართველო

დამკვეთი

ლისი დეველოპმენტი

საინვესტორო მმართველობის მენეჯერი: გიორგი ხუციშვილი, ნესტან ბულდოზერიანი, დავით ნაცვლიშვილი

ფურცლის იდენტიფიკაცია

სათაური

06 სართულის გეგმა

სტატუსი

არქიტექტურა

პროექტის #	ზომები	ფორმატი	თარიღი
AI-GE009/Lisi		A2	2024.12.05

ფურცლის #	რევიზია
AI-GE009/Lisi-506	REV 01

100
A-106

06 სართულის გეგმა +22.800
1:150 @A2

სერვიტუტი

01 02 03 04 05 06 07 08 09 10 11 12 13

5100 6000 5350 3650 5500 6000 5350 3650 5500 6000 5350 3250

CC A-000

A B C D

AA A-100

5450 4655 16805 6700

3285 3190

6379 7395

150 4547 8850 5803 11500 1770 7230 11500 1770 7230 4547



განაშენიანების რეგულაციის ხაზი

შენიშვნა: ბინები N27 - C525 (საკადასტრო ნომრით: 01.10.18.006.304.01.01.027) და N28 - E527 (საკადასტრო ნომრით: 01.10.18.006.304.01.01.028) გაერთიანდა.

გეგმებზე მოცემული ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების,მექანიკური მოწყობილობების, გასასვლელის ნიშნების და სხვა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით მოთხოვნილი სისტემების აღნიშვნების განლაგება და რაოდენობა პირობითია.
ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების, მექანიკური მოწყობილობების გასასვლელის ნიშნების და სხვა აუცილებელი სისტემების პროექტი უნდა დამუშავდეს და განხორციელდეს შესაბამისი სპეციალისტების მიერ შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში მითითებული მოთხოვნების და სტანდარტების გამოყენებით.
გეგმებზე მოცემული დაკავებულობები, დაკავებულობის ჯგუფები და დაკავებულობის დატვირთვები, ასევე კედლების და კარების ცეცხლმედეგობის ხარისხების შესაბამისი აღნიშვნები, გასასვლელამდე სავალი მანძილები, გასასვლელისკენ სავალი საერთო ბილიკების სიგრძეები და სხვა წესებთან შესაბამისობისთვის აუცილებელი გრაფიკული აღნიშვნები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილების "ტექნიკური რეგლამენტის შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან დამტკიცების თაობაზე" მიხედვით და აღნიშნული დადგენილების შემდგომი რედაქციების გათვალისწინებით.

0 1.5 3 6 9 15m

სამაშტაბო: არ გაზომოთ აქედან

N

არქიტექტორი
ARCHITECTS OF INVENTION
Japaridze Architecture Ltd.
ს/კ 405 104 104
5998 104 ჯაფარიძეები მოტანი
T +44 207 4507237
office@architectsofinvention.com
www.architectsofinvention.com

კონსტრუქტორი
Cubicon
ბარნოვ კვლიანის ქ.ბ. 11
T +995 591 176 444
info@cubicon.ge
www.cubicon.ge

დიზაინი
ლია დავითაშვილი
ტარიელის 2, ახმეტა, საქართველო
+995 32 200 272
lia@lia.ge
www.lia.ge

ჩვენება

#	თარიღი	აღწერა
1	01.11.09.2025	განახლება კომპეტენტების მიხედვით.

ლეგენდა

000 ოთახის ნომერი
ფართი ოთახის სახელწოდება

±0.000 ობიექტის მოპირკეთება
-0.150 კონსტრუქციული ფილა

00.000 ობიექტის მოპირკეთება

1 / A-000 დეტალის ნომერი
ნახაზის ნომერი

1 / A-000 ჭრილის ნომერი
ნახაზის ნომერი

გვერდის განლაგება



სართულების დიაგრამა



შენიშვნები

ობიექტზე მოსაწყობ საგარეო ელექტრო ბაგეთ ბაზაზე, წარმოებულ ტესტირაც გამოყენების ტრანსფორმატორ ან გენერატორის წარმოდგენილ კონსტრუქციის ნებართვა გამოწერის კონსტრუქციის ნებართვა.

არ გამოსხა ნახაზებზე.

ყველა ზომა გადამოწმებულ იქნეს.

ნებისმიერი ტიპების დაყენებულია გამოიყ. სამოქმედო ელემენტ.

ყველა ზომა მიღებულებია, თუ არ არის კონკრეტულად მითითებული სხვა განსაზღვრული.

პროექტი

LISI RESIDENTIAL C3
01.10.18.006.196, ახმეტა, საქართველო

დამკვეთი

ლია დავითაშვილი

საკადასტრო მონაცემების შემოწმება	გიორგი ხუციშვილი ნანი ბუდაშვილი დავით ჩაკვეტაძე

ფურცლის იდენტიფიკაცია

სათაური

06 სართულის გეგმა

სტატუსი

არქიტექტურა

პროექტის #	ზომები	თარიღი
AI-GE009/Lisi	A2	2024.12.05

ფურცლის # ჩვენება

REV 01

AI-GE009/Lisi-506

განმარტება ბინების გაერთიანების თაობაზე

შუალედური ხარვეზის მეოთხე პუნქტის მიხედვით გვსურს განგიმარტოთ, რომ ამჟამინდელი გაერთიანებული ბინების საკადასტრო კოდებია ბოლო ამონაწერის შესაბამისად : 1. ბინა 25 (F528) 49.19 მ^2 ს/კ 01.10.18.006.304.01.01.025 და ბინა 26 (D526)-დუპლექსი 194.6 ს/კ 01.10.18.006.304.01.01.026

ზემოაღნიშნული ბინის მესაკუთრეს შპს ლისი ფო, რომელიც ასევე არის მიწის ნაკვეთის მესაკუთრესაც, შესაბამისად აღნიშნულ შემტხვევაში არ არის საჭირო დამატებით რაიმე სახის თანხმობის დოკუმენტის წარდგენა პროექტის კორექტირებასთან დაკავშირებით, ხოლო

რაც შეეხება დანარჩენ ორ ბინას- ბინა 27 (D525)-დუპლექსი 258.07 ს/კ 01.10.18.006.304.01.01.027 ბინა 25 (F528) 68.57 მ^2 ს/კ 01.10.18.006.304.01.01.028 რომელთა მესაკუთრეც არის შპს ანი, დამატებით დოკუმენტად წარმოდგენილი გვაქვს ნასყიდობის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად კომპანიას აქვს ნებისმიერი ცვლილების უფლება მესაკუთრის თანხმობის გარეშე (ნაწყიდობის ხელშეკრულების 8.3 პუნქტის შესაბამისად). არც ერთი უძრავი ქონება არ არის დატვირთული იპოთეკით.

პროექტის კორექტირების შემდეგ მოცემული ბინები გაერთიანდება წარმოდგენილი ნახაზის შესაბამისად და განახლდება ამონაწერები.

პროექტის ავტორი: ნიკოლოზ ჯაფარიძე

უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება
№FPA 03-11/21

1. ხელშეკრულების დადების დრო და ადგილი

ქ. თბილისი

18 მარტი, 2025 წ.

2. ხელშეკრულების მხარეები

ერთი მხრივ, **შპს "ლისი ფო" (ს/კ 404859792)**, წარმოდგენილი მისი დირექტორის ნიკა ხაზარაძის (პ/ნ 01030018090) მინდობილი პირის ეთერი ღონღაძის (პ/ნ 01005041043) სახით, **შემდგომში „გამყიდველი"** და

მეორე მხრივ, **შპს „ანი" (ს/კ 212819360)**, წარმოდგენილი მისი დირექტორის ვლადიმერ თუთისანის (პ/ნ 60001001455) მინდობილი პირის გიორგი თუთისანის (პ/ნ 60001022873) სახით, **შემდგომში „მყიდველი,** აფორმებენ წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულებას შემდეგზე:

პრეამბულა: მხარეთა შორის 2021 წლის 3 ნოემბერს გაფორმებულია #FPA 03-11/21 წინარე ხელშეკრულება ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინისა და თანასაკუთრების წილის ნასყიდობის შესახებ, რომლის საფუძველზეც ფორმდება წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულება.

3. ქონების საკუთრებაში გადაცემა

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გამყიდველი გადასცემს, ხოლო მყიდველი საკუთრებაში იღებს მე-4 მუხლით განსაზღვრულ ქონებებს, მე-5 მუხლში აღნიშნული საფასურის სანაცვლოდ.

3.2. გამყიდველი გადასცემს მყიდველს ქონებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს.

4. ქონება

4.1. მყიდველს საკუთრებაში გადაეცემა შემდეგი უძრავი ქონებები **(შემდგომში „ნასყიდობის საგანი")**:

4.1.1. **ბინა** და მისი შესაბამისი თანსაკუთრების წილი მიწის ნაკვეთზე, რომლის მონაცემებია:

ა) მისამართი: ქ. თბილისი, ლისის ქუჩა 9ა
ბ) უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: **01.10.18.006.304.01.01.027**
გ) შენობა–ნაგებობა: **C3 ბლოკი**
დ) ბინის ფართი: 258,07 კვ.მ.
ე) **ბინა N27**
ვ) სადარბაზო 2

4.1.2. **ბინა** და მისი შესაბამისი თანსაკუთრების წილი მიწის ნაკვეთზე, რომლის მონაცემებია:

ა) მისამართი: ქ. თბილისი, ლისის ქუჩა 9ა
ბ) უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: **01.10.18.006.304.01.01.028**
გ) შენობა–ნაგებობა: **C3 ბლოკი**
დ) ბინის ფართი: 68,57 კვ.მ.
ე) **ბინა N28**
ვ) სადარბაზო 2

4.1.3. **ავტოსადგომი N8, ფართობით 13,75 კვ.მ.**, მდებარე C3 ბლოკში, ს/კ: 01.10.18.006.304.01.02.008.

4.2. მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულება წარმოადგენს ამავდროულად მხარეთა შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელიც ადასტურებს, რომ თითოეული ქონება არის ნივთობრივად უნაკლო მდგომარეობაში და სრულად შეესაბამება წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ კონდიციას, შესაბამისად, ქონების საკუთრებაში მიღების შემდეგ მყიდველს აღარ აქვს არც ერთი ქონების ნაკლზე ან/და ვადაგადაცილებაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რაიმე სახის პრეტენზიის წამოყენების უფლება, რასაც ადასტურებს ხელმოწერით.

4.3. მყიდველი ინფორმირებულია, რომ ბინებზე ვრცელდება სს „ბაზის ბანკის" იპოთეკა, რომლის მოხსნასაც უზრუნველყოფს გამყიდველი არაუგვიანეს 1 კვირის ვადაში, თავისი ხარჯით.

5. ქონების ღირებულება

5.1. **სამივე ქონების ჯამური ღირებულება** შეადგენს [illegible] **აშშ დოლარის** ექვივალენტს ლარში დღგ-ის ჩათვლით, საიდანაც N27 ბინის ღირებულება შეადგენს [illegible] აშშ დოლარს, ბინა N28-ის ღირებულება შეადგენს [illegible] აშშ დოლარს, ხოლო ავტოსადგომის ღირებულება შეადგენს [illegible] აშშ დოლარს.

5.2. მხარეები ადასტურებენ, რომ მყიდველის მიერ გადახდილია ქონების ჯამური ღირებულება სრულად.

6. ხარჯები

6.1. ქონების მყიდველის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის ხარჯებს საჯარო რეესტრში გაიღებს მყიდველი.

7. ხელშეკრულების მოქმედება

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

7.2. ქონებაზე საკუთრების უფლება მყიდველზე გადადის მყიდველის, როგორც ქონების მესაკუთრის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

8. დაკავშირებული ხელშეკრულებები და მესაკუთრის ვალდებულება

8.1. წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულებასთან ერთად მხარეებს შორის ფორმდება ტერიტორიისა და შენობის არქიტექტურული პროექტის საავტორო უფლებების დაცვის ხელშეკრულება (**დანართი N1**) და მომსახურების ხელშეკრულება (**დანართი N2**), რომლებიც წარმოადგენს წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულების დანართებს და მის განუყოფელ ნაწილს და განიხილება ერთიანობაში. აღნიშნულ ხელშეკრულებებზე ხელმოწერა წარმოადგენს მყიდველის უპირობო ვალდებულებას და ნასყიდობის საგნის საკუთრებაში გადაფორმების წინაპირობას.

8.2. მყიდველის მიერ ნასყიდობის საგნის საკუთრებაში მიღების შემდეგ ნებისმიერი საფუძვლით მესაკუთრის ცვლილების შემთხვევაში, ახალი მესაკუთრე ჩაითვლება მყიდველის უფლებამონაცვლედ და 8.1 პუნქტით გათვალისწინებული თანდართული ხელშეკრულებების (დანართი N1 და დანართი N2) ყველა პირობა ავტომატურად და უცვლელად გადავა/გავრცელდება ახალ მესაკუთრეზე. თუ უძრავ ქონებას ეყოლება რამოდენიმე მესაკუთრე, თითოეული მათგანი განიხილება სოლიდარულ მოვალედ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობებში.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მყიდველი აცხადებს წინასწარ წერილობით თანხმობას მასზედ, რომ როგორც მშენებარე, ისე დასრულებული ბლოკის პროექტში, შპს „ლისი ფომ“ (ს/კ 404859792), როგორც პროექტის ავტორმა, ცალმხრივად მოახდინოს არქიტექტურული პროექტის ცვლილება, ფასადის ცვლილება, სამშენებლო პროექტის ცვლილება, მიწის ნაკვეთის ცვლილება, დამტკიცებული გრგ-ის ნებისმიერი სახით ცვლილება, გრგ-ის საფუძველზე მიწის ნაკვეთის ფართობის ცვლილება (შემცირება ან გაზრდა) ან/და კონფიგურაციის ცვლილება ან ნებისმიერი სხვა სახის ცვლილება; ასევე თანხმობას აცხადებს ტერიტორიაზე ნებისმიერ განსახორციელებელ ნებისმიერ სამუშაოებზე/ პროექტზე/ ინფრასტრუქტურის მოწყობაზე/ მშენებლობაზე, შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებში გამყიდველის მიერ ნებართვის/ თანხმობის მოპოვების/ ექსპლუატაციაში შენობის მიღების მიზნებისთვის. მყიდველი აღნიშნულ თანხმობას აცხადებს ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში წარსადგენად, მათ შორის ქ.თბილისის მერიაში, არქიტექტურის სამსახურში და ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, საჯარო რეესტრში თუ სხვა ნებისმიერ უწყებაში/ იურიდიულ პირში. წინამდებარე ხელშეკრულების ეს პუნქტი განიხილება ამავე პუნქტის შინაარსით გათვალისწინებული ქმედებების მიმართ მყიდველის მიერ გამოთქმულ სრულ და საკმარის თანხმობად და არავინ შეიძლება დააყენოს იგი ეჭვქვეშ, ან დამატებით მოსთხოვოს გამყიდველს მყიდველის თანხმობა ამ პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების განხორციელების ეტაპზე. ნასყიდობის საგანზე მესაკუთრის ცვლილების შემთხვევაში (ნებისმიერი საფუძვლით), აღნიშნული პუნქტი გავრცელდება ყოველ ახალ მესაკუთრეზე ავტომატურად და უცვლელად და არავინ არ შეიძლება ეჭვ ქვეშ დააყენოს არსებული მესაკუთრის მიერ გაცემული წინასწარი წერილობითი თანხმობა.

8.4. თუ გამყიდველის მიერ განხორციელდება შენობის არქიტექტურული პროექტის ცვლილება იმგვარად, რომ ავტოსადგომებს შეეცვლებათ ნუმერაცია ან/და საკადასტრო კოდი, მყიდველი წინასწარ აცხადებს წერილობით თანხმობას, რომ მის ავტოსადგომს შეეცვალოს ნომერი და საკადასტრო კოდი, დაკორექტირებული პროექტის შესაბამისად. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საკმარისი იქნება გამყიდველის ცალმხრივად მიმართვა რეესტრისადმი, ხოლო მყიდველის თანხმობად ჩაითვლება წინამდებარე პუნქტი.

8.5. მყიდველი იღებს ვალდებულებას, რომ გაუფრთხილდეს საცხოვრებელ კომპლექსში არსებულ საერთო საკუთრებას და მის განკარგვაში მიიღოს მონაწილეობა მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით. მყიდველისთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ საცხოვრებელი კომპლექსის ექსპლუატაციაში შესვლისა და მყიდველის ბინის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციით, მყიდველი ავტომატურად ხდება „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის (შემდგომში „ბმა“) წევრისთვის დადგენილ უფლება-მოვალეობათა სუბიექტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მყიდველი იღებს ვალდებულებას: მონაწილეობა მიიღოს ბმა-ს კრებებზე, განსაზღვროს ბმა-ს დასახელება, დაამტკიცოს წესდება, აირჩიოს ბმა-ს თავმჯდომარე და სხვა; იმ შემთხვევაში თუ გამყიდველი ან გამყიდველის მიერ განსაზღვრული მესამე პირი უარს განაცხადებს კომპლექსისათვის სერვისის მიწოდებაზე (თანახმად თანდართული მომსახურების ხელშეკრულებისა), ბმა-ს უფლება მიეცემა შეარჩიონ საცხოვრებელი კომპლექსის მოვლა-პარტონობის მიზნით შემსრულებელი, განსაზღვროს მასთან დასადები მომსახურების ხელშეკრულების პირობები; მყიდველი ასევე ვალდებულია შეასრულოს „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ბმა-ს წევრის სხვა ვალდებულებები. მყიდველის მიერ ზემოაღნიშნული ვალდებულებების დარღვევა ავტომატურად წარმოადგენს „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევას და განიხილება ბმა-სთვის ზიანის მიმყენებელ ქმედებად, რის გამოც მყიდველის მიმართ განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები ბმა-ს თავმჯდომარის მიერ. ამ მუხლის აღსრულების მიზნით მყიდველი ანიჭებს ბმა-ს თავმჯდომარეს უფლებამოსილებას მის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს მის წინააღმდეგ ვალდებულების შესრულების მოთხოვნით.

8.6. მყიდველის მიერ უძრავი ქონების ნებისმიერი საფუძვლით გასხვისების შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია ახალ მესაკუთრეს აცნობოს აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების არსებობის შესახებ და ნასყიდობის ხელშეკრულებაში გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული ვალდებულებები. ამავდროულად იგი ვალდებულია ახალ მესაკუთრეს გააფორმებინოს იდენტური მომსახურებისა და ფასადის დაცვის ხელშეკრულება (დანართ N1 და დანართი N2) გამყიდველთან ქონების გასხვისებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში. წინამდებარე მუხლით დადგენილი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მყიდველს დაეკისრება ჯარიმა 2,000 (ორი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით გამყიდველის მიმართ და აგრეთვე, იგი დარჩება კვლავ პასუხისმგებელ პირად გამყიდველის წინაშე თანდართული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე (მათ შორის მომსახურების საფასურის გადახდაზე და ნებისმიერ სანქციაზე). აღნიშნული არ ართმევს გამყიდველს იმის უფლებას, რომ მოთხოვნები წაუყენოს ახალ მესაკუთრეს. ახალი მესაკუთრე და არსებული მყიდველი ასეთ შემთხვევაში იქნებიან სოლიდარულად პასუხისმგებელი პირები გამყიდველის წინაშე.

9. დავები

9.1. ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა (მათ შორის, ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით) მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით.

9.2. მხარეები თანხმდებიან, რომ მოლაპარაკების შედეგად შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, უთანხმოება ან მოთხოვნა, მათ შორის ამ ხელშეკრულების მთლიანი ან ნაწილობრივი შესრულების, დარღვევის, შეწყვეტის, ან ბათილობის საკითხი, განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა შპს „ჯეი-ემ-ქეი„ მუდმივმოქმედ არბიტრაჟს (ს/კ 404897947, მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N14 ბ, პირველი სადარბაზო, მესამე სართული ; ელ-ფოსტა: office@jmk.ge; ვებ-გვერდი: jmk.ge) (შემდგომში - **„მუდმივმოქმედი არბიტრაჟი“**) ან მის სამართალმემკვიდრეს;

9.3. საარბიტრაჟო განხილვა ჩატარდება საქართველოში (ქ. თბილისში), ქართულ ენაზე, ქართული სამართლის ნორმების (კანონმდებლობის) შესაბამისად და მუდმივმოქმედი არბიტრაჟის რეგლამენტის/ დებულების იმ რედაქციის შესაბამისად, რომელიც იქნება მოქმედი საარბიტრაჟო სარჩელის მიღების თარიღისათვის და ამასთან, სრულად ან ნაწილობრივ არ იქნება შეუსაბამო ამ პუნქტით განსაზღვრულ საარბიტრაჟო შეთანხმებასთან, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ან მხარეთა დამატებითი წერილობითი შეთანხმებით სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული;

9.4. არბიტრაჟში დავას განიხილავს ერთი არბიტრი, რომელსაც დანიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავჯდომარე;

9.5. არბიტრად შეიძლება დაინიშნოს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე ქმედუნარიანი საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს სასამართლო, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლების, საგამოძიებო და იუსტიციის ორგანოებში სპეციალობით, ასევე ადვოკატად (იურისტად) მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება;

9.6. განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ უნდა გაკეთდეს საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენამდე;

9.7. საარბიტრაჟო მოპასუხემ საარბიტრაჟო სარჩელზე საარბიტრაჟო შესაგებელი უნდა წარმოადგინოს საარბიტრაჟო სარჩელის მიღებიდან ხუთი დღის ვადაში;

9.8. არბიტრაჟის სხდომის ჩატარების შესახებ მხარეს უნდა ეცნობოს სულ ცოტა ორი დღით ადრე;

9.9. შეტყობინება შესაძლებელია განხორციელდეს კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით (წერილობით, ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით და სხვა);

9.10. მხარის ადგილსამყოფელის დაუდგენლობის ან მისთვის გზავნილის ან/და უწყების სხვა მიზეზით ჩაუბარებლობის შემთხვევაში, შეტყობინება შეიძლება განხორციელდეს საჯარო პუბლიკაციის მეშვეობით ბეჭდვით მედიაში დადგენილების გამოქვეყნების გზით;

9.11. არბიტრაჟი დავას განიხილავს და გადაწყვეტილებას გამოიტანს ზეპირი მოსმენის გარეშე, ან ზეპირი მოსმენით ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის შემთხვევაში;

9.12. თუ ერთ-ერთი მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს ან საარბიტრაჟო მოპასუხე არ წარმოადგენს დადგენილ ვადაში საარბიტრაჟო შესაგებელს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე;

9.13. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილი უნდა იქნას 21 (ოცდაერთი) კალენდარული დღის ვადაში, რომელიც აითვლება საარბიტრაჟო სარჩელის მოპასუხეზე ჩაბარების დღიდან;

9.14. არ არის აუცილებელი, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიცავდეს სამოტივაციო ნაწილს.

9.15. საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს არბიტრაჟს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ;

9.16. არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ სარჩელის (პრეტენზიის) უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება დასაშვებია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.

10. დამატებითი პირობები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულება მაღლა დგას მხარეებს შორის ყველა ამ დრომდე არსებულ ზეპირი თუ წერილობითი სახის ხელშეკრულებაზე და მოლაპარაკებაზე.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) იდენტურ ეგზემპლარად, საიდანაც ერთი გადაეცემა მყიდველს, მეორე გამყიდველს, ხოლო მესამე სარეგისტრაციოდ გადაეცემა საჯარო რეესტრს.

10.4. ყველა ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში ნამდვილია, მისი წერილობითი გაფორმებისა და მხარეთა ხელმოწერის შემთხვევაში.

10.5. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.

10.6. მხარეები თანხმდებიან, რომ ერთმანეთს შორის ნებისმიერი კომუნიკაცია და ნებისმიერი სახის შეტყობინებების გაგზავნა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მისამართზე გაგზავნით ასევე, ელექტრონული ფორმით ან/და კომპლექსში საინფორმაციო აბრის განთავსების გზით. ტელეფონის ნომერზე და ელ.ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინებები ჩაითვლება წერილობითი ფორმით გაგზავნილ შეტყობინებად და ჩაითვლება მიღებულად, თუკი ისინი გაიგზავნება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მონაცემებზე. მხარეები თანხმობას აცხადებენ, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ელ.ფოსტის მისამართზე ელ.ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება მათთვის ჩაბარებულად ითვლება მისი გაგზავნის მომენტიდან და აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე სახის პრეტენზია არ ექნებათ. მყიდველი ვალდებულია მისამართის, ელ.ფოსტის ან ტელეფონის ნომრის შეცვლის შემთხვევაში აცნობოს იგი გამყიდველს, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულებაში მითითებულ მონაცემებზე გაგზავნილი შეტყობინებები ჩაითვლება მიღებულად, რაზეც მყიდველი აცხადებს წინასწარ თანხმობას.

10.7. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი დანართი თუ დამატება/ცვლილება წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მათში მოცემული პირობები აღსრულდება ხელშეკრულების პირობებთან ერთობლიობაში.

10.8. მხარეთა უფლება-მოვალეობები და ხელშეკრულების შესრულების პირობები, რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

11. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

გამყიდველი	მყიდველი
შპს "ლისი ფო"	შპს „ანი"
(ს/კ 404859792)	(ს/კ 212819360)
	გიორგი თუთისანი
წარმომადგენელი	წარმომადგენელი
ეთერი ღონღაძე	გიორგი თუთისანი
(პ/ნ 01005041043)	(პ/ნ 60001022873)

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი № 3215
თარიღი "18" ... 2025 წ.
გვ.რაოდენობა 12 ხელმოწერა

უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება
№FPA 03-11/21

1. ხელშეკრულების დადების დრო და ადგილი

ქ. თბილისი

18 მარტი, 2025 წ.

2. ხელშეკრულების მხარეები

ერთი მხრივ, **შპს "ლისი ფო" (ს/კ 404859792)**, წარმოდგენილი მისი დირექტორის ნიკა ხაზარაძის (პ/ნ 01030018090) მინდობილი პირის ეთერი ღონღაძის (პ/ნ 01005041043) სახით, **შემდგომში „გამყიდველი"** და

მეორე მხრივ, **შპს „ანი" (ს/კ 212819360)**, წარმოდგენილი მისი დირექტორის ვლადიმერ თუთისანის (პ/ნ 60001001455) მინდობილი პირის გიორგი თუთისანის (პ/ნ 60001022873) სახით, **შემდგომში „მყიდველი,** აფორმებენ წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულებას შემდეგზე:

პრეამბულა: მხარეთა შორის 2021 წლის 3 ნოემბერს გაფორმებულია #FPA 03-11/21 წინარე ხელშეკრულება ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინისა და თანასაკუთრების წილის ნასყიდობის შესახებ, რომლის საფუძველზეც ფორმდება წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულება.

3. ქონების საკუთრებაში გადაცემა

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გამყიდველი გადასცემს, ხოლო მყიდველი საკუთრებაში იღებს მე-4 მუხლით განსაზღვრულ ქონებებს, მე-5 მუხლში აღნიშნული საფასურის სანაცვლოდ.

3.2. გამყიდველი გადასცემს მყიდველს ქონებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს.

4. ქონება

4.1. მყიდველს საკუთრებაში გადაეცემა შემდეგი უძრავი ქონებები **(შემდგომში „ნასყიდობის საგანი")**:

4.1.1. **ბინა** და მისი შესაბამისი თანსაკუთრების წილი მიწის ნაკვეთზე, რომლის მონაცემებია:

ა) მისამართი: ქ. თბილისი, ლისის ქუჩა 9ა
ბ) უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: **01.10.18.006.304.01.01.027**
გ) შენობა–ნაგებობა: **C3 ბლოკი**
დ) ბინის ფართი: 258,07 კვ.მ.
ე) **ბინა N27**
ვ) სადარბაზო 2

4.1.2. **ბინა** და მისი შესაბამისი თანსაკუთრების წილი მიწის ნაკვეთზე, რომლის მონაცემებია:

ა) მისამართი: ქ. თბილისი, ლისის ქუჩა 9ა
ბ) უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: **01.10.18.006.304.01.01.028**
გ) შენობა–ნაგებობა: **C3 ბლოკი**
დ) ბინის ფართი: 68,57 კვ.მ.
ე) **ბინა N28**
ვ) სადარბაზო 2

4.1.3. **ავტოსადგომი N8, ფართობით 13,75 კვ.მ.**, მდებარე C3 ბლოკში, ს/კ: 01.10.18.006.304.01.02.008.

4.2. მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულება წარმოადგენს ამავდროულად მხარეთა შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელიც ადასტურებს, რომ თითოეული ქონება არის ნივთობრივად უნაკლო მდგომარეობაში და სრულად შეესაბამება წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ კონდიციას, შესაბამისად, ქონების საკუთრებაში მიღების შემდეგ მყიდველს აღარ აქვს არც ერთი ქონების ნაკლზე ან/და ვადაგადაცილებაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რაიმე სახის პრეტენზიის წამოყენების უფლება, რასაც ადასტურებს ხელმოწერით.

4.3. მყიდველი ინფორმირებულია, რომ ბინებზე ვრცელდება სს „ბაზის ბანკის" იპოთეკა, რომლის მოხსნასაც უზრუნველყოფს გამყიდველი არაუგვიანეს 1 კვირის ვადაში, თავისი ხარჯით.

5. ქონების ღირებულება

5.1. **სამივე ქონების ჯამური ღირებულება** შეადგენს [illegible] **აშშ დოლარის** ექვივალენტს ლარში დღგ-ის ჩათვლით, საიდანაც N27 ბინის ღირებულება შეადგენს [illegible] აშშ დოლარს, ბინა N28-ის ღირებულება შეადგენს [illegible] აშშ დოლარს, ხოლო ავტოსადგომის ღირებულება შეადგენს [illegible] აშშ დოლარს.

5.2. მხარეები ადასტურებენ, რომ მყიდველის მიერ გადახდილია ქონების ჯამური ღირებულება სრულად.

6. ხარჯები

6.1. ქონების მყიდველის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის ხარჯებს საჯარო რეესტრში გაიღებს მყიდველი.

7. ხელშეკრულების მოქმედება

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

7.2. ქონებაზე საკუთრების უფლება მყიდველზე გადადის მყიდველის, როგორც ქონების მესაკუთრის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

8. დაკავშირებული ხელშეკრულებები და მესაკუთრის ვალდებულება

8.1. წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულებასთან ერთად მხარეებს შორის ფორმდება ტერიტორიისა და შენობის არქიტექტურული პროექტის საავტორო უფლებების დაცვის ხელშეკრულება (**დანართი N1**) და მომსახურების ხელშეკრულება (**დანართი N2**), რომლებიც წარმოადგენს წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულების დანართებს და მის განუყოფელ ნაწილს და განიხილება ერთიანობაში. აღნიშნულ ხელშეკრულებებზე ხელმოწერა წარმოადგენს მყიდველის უპირობო ვალდებულებას და ნასყიდობის საგნის საკუთრებაში გადაფორმების წინაპირობას.

8.2. მყიდველის მიერ ნასყიდობის საგნის საკუთრებაში მიღების შემდეგ ნებისმიერი საფუძვლით მესაკუთრის ცვლილების შემთხვევაში, ახალი მესაკუთრე ჩაითვლება მყიდველის უფლებამონაცვლედ და 8.1 პუნქტით გათვალისწინებული თანდართული ხელშეკრულებების (დანართი N1 და დანართი N2) ყველა პირობა ავტომატურად და უცვლელად გადავა/გავრცელდება ახალ მესაკუთრეზე. თუ უძრავ ქონებას ეყოლება რამოდენიმე მესაკუთრე, თითოეული მათგანი განიხილება სოლიდარულ მოვალედ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობებში.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მყიდველი აცხადებს წინასწარ წერილობით თანხმობას მასზედ, რომ როგორც მშენებარე, ისე დასრულებული ბლოკის პროექტში, შპს „ლისი ფომ“ (ს/კ 404859792), როგორც პროექტის ავტორმა, ცალმხრივად მოახდინოს არქიტექტურული პროექტის ცვლილება, ფასადის ცვლილება, სამშენებლო პროექტის ცვლილება, მიწის ნაკვეთის ცვლილება, დამტკიცებული გრგ-ის ნებისმიერი სახით ცვლილება, გრგ-ის საფუძველზე მიწის ნაკვეთის ფართობის ცვლილება (შემცირება ან გაზრდა) ან/და კონფიგურაციის ცვლილება ან ნებისმიერი სხვა სახის ცვლილება; ასევე თანხმობას აცხადებს ტერიტორიაზე ნებისმიერ განსახორციელებელ ნებისმიერ სამუშაოებზე/ პროექტზე/ ინფრასტრუქტურის მოწყობაზე/ მშენებლობაზე, შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებში გამყიდველის მიერ ნებართვის/ თანხმობის მოპოვების/ ექსპლუატაციაში შენობის მიღების მიზნებისთვის. მყიდველი აღნიშნულ თანხმობას აცხადებს ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში წარსადგენად, მათ შორის ქ.თბილისის მერიაში, არქიტექტურის სამსახურში და ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, საჯარო რეესტრში თუ სხვა ნებისმიერ უწყებაში/ იურიდიულ პირში. წინამდებარე ხელშეკრულების ეს პუნქტი განიხილება ამავე პუნქტის შინაარსით გათვალისწინებული ქმედებების მიმართ მყიდველის მიერ გამოთქმულ სრულ და საკმარის თანხმობად და არავინ შეიძლება დააყენოს იგი ეჭვქვეშ, ან დამატებით მოსთხოვოს გამყიდველს მყიდველის თანხმობა ამ პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების განხორციელების ეტაპზე. ნასყიდობის საგანზე მესაკუთრის ცვლილების შემთხვევაში (ნებისმიერი საფუძვლით), აღნიშნული პუნქტი გავრცელდება ყოველ ახალ მესაკუთრეზე ავტომატურად და უცვლელად და არავინ არ შეიძლება ეჭვ ქვეშ დააყენოს არსებული მესაკუთრის მიერ გაცემული წინასწარი წერილობითი თანხმობა.

8.4. თუ გამყიდველის მიერ განხორციელდება შენობის არქიტექტურული პროექტის ცვლილება იმგვარად, რომ ავტოსადგომებს შეეცვლებათ ნუმერაცია ან/და საკადასტრო კოდი, მყიდველი წინასწარ აცხადებს წერილობით თანხმობას, რომ მის ავტოსადგომს შეეცვალოს ნომერი და საკადასტრო კოდი, დაკორექტირებული პროექტის შესაბამისად. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საკმარისი იქნება გამყიდველის ცალმხრივად მიმართვა რეესტრისადმი, ხოლო მყიდველის თანხმობად ჩაითვლება წინამდებარე პუნქტი.

8.5. მყიდველი იღებს ვალდებულებას, რომ გაუფრთხილდეს საცხოვრებელ კომპლექსში არსებულ საერთო საკუთრებას და მის განკარგვაში მიიღოს მონაწილეობა მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით. მყიდველისთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ საცხოვრებელი კომპლექსის ექსპლუატაციაში შესვლისა და მყიდველის ბინის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციით, მყიდველი ავტომატურად ხდება „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის (შემდგომში „ბმა“) წევრისთვის დადგენილ უფლება-მოვალეობათა სუბიექტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მყიდველი იღებს ვალდებულებას: მონაწილეობა მიიღოს ბმა-ს კრებებზე, განსაზღვროს ბმა-ს დასახელება, დაამტკიცოს წესდება, აირჩიოს ბმა-ს თავმჯდომარე და სხვა; იმ შემთხვევაში თუ გამყიდველი ან გამყიდველის მიერ განსაზღვრული მესამე პირი უარს განაცხადებს კომპლექსისათვის სერვისის მიწოდებაზე (თანახმად თანდართული მომსახურების ხელშეკრულებისა), ბმა-ს უფლება მიეცემა შეარჩიონ საცხოვრებელი კომპლექსის მოვლა-პარტონობის მიზნით შემსრულებელი, განსაზღვროს მასთან დასადები მომსახურების ხელშეკრულების პირობები; მყიდველი ასევე ვალდებულია შეასრულოს „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ბმა-ს წევრის სხვა ვალდებულებები. მყიდველის მიერ ზემოაღნიშნული ვალდებულებების დარღვევა ავტომატურად წარმოადგენს „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევას და განიხილება ბმა-სთვის ზიანის მიმყენებელ ქმედებად, რის გამოც მყიდველის მიმართ განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები ბმა-ს თავმჯდომარის მიერ. ამ მუხლის აღსრულების მიზნით მყიდველი ანიჭებს ბმა-ს თავმჯდომარეს უფლებამოსილებას მის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს მის წინააღმდეგ ვალდებულების შესრულების მოთხოვნით.

8.6. მყიდველის მიერ უძრავი ქონების ნებისმიერი საფუძვლით გასხვისების შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია ახალ მესაკუთრეს აცნობოს აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების არსებობის შესახებ და ნასყიდობის ხელშეკრულებაში გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული ვალდებულებები. ამავდროულად იგი ვალდებულია ახალ მესაკუთრეს გააფორმებინოს იდენტური მომსახურებისა და ფასადის დაცვის ხელშეკრულება (დანართ N1 და დანართი N2) გამყიდველთან ქონების გასხვისებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში. წინამდებარე მუხლით დადგენილი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მყიდველს დაეკისრება ჯარიმა 2,000 (ორი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით გამყიდველის მიმართ და აგრეთვე, იგი დარჩება კვლავ პასუხისმგებელ პირად გამყიდველის წინაშე თანდართული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე (მათ შორის მომსახურების საფასურის გადახდაზე და ნებისმიერ სანქციაზე). აღნიშნული არ ართმევს გამყიდველს იმის უფლებას, რომ მოთხოვნები წაუყენოს ახალ მესაკუთრეს. ახალი მესაკუთრე და არსებული მყიდველი ასეთ შემთხვევაში იქნებიან სოლიდარულად პასუხისმგებელი პირები გამყიდველის წინაშე.

9. დავები

9.1. ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა (მათ შორის, ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით) მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით.

9.2. მხარეები თანხმდებიან, რომ მოლაპარაკების შედეგად შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, უთანხმოება ან მოთხოვნა, მათ შორის ამ ხელშეკრულების მთლიანი ან ნაწილობრივი შესრულების, დარღვევის, შეწყვეტის, ან ბათილობის საკითხი, განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა შპს „ჯეი-ემ-ქეი„ მუდმივმოქმედ არბიტრაჟს (ს/კ 404897947, მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N14 ბ, პირველი სადარბაზო, მესამე სართული ; ელ-ფოსტა: office@jmk.ge; ვებ-გვერდი: jmk.ge) (შემდგომში - **„მუდმივმოქმედი არბიტრაჟი“**) ან მის სამართალმემკვიდრეს;

9.3. საარბიტრაჟო განხილვა ჩატარდება საქართველოში (ქ. თბილისში), ქართულ ენაზე, ქართული სამართლის ნორმების (კანონმდებლობის) შესაბამისად და მუდმივმოქმედი არბიტრაჟის რეგლამენტის/ დებულების იმ რედაქციის შესაბამისად, რომელიც იქნება მოქმედი საარბიტრაჟო სარჩელის მიღების თარიღისათვის და ამასთან, სრულად ან ნაწილობრივ არ იქნება შეუსაბამო ამ პუნქტით განსაზღვრულ საარბიტრაჟო შეთანხმებასთან, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ან მხარეთა დამატებითი წერილობითი შეთანხმებით სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული;

9.4. არბიტრაჟში დავას განიხილავს ერთი არბიტრი, რომელსაც დანიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავჯდომარე;

9.5. არბიტრად შეიძლება დაინიშნოს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე ქმედუნარიანი საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს სასამართლო, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლების, საგამოძიებო და იუსტიციის ორგანოებში სპეციალობით, ასევე ადვოკატად (იურისტად) მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება;

9.6. განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ უნდა გაკეთდეს საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენამდე;

9.7. საარბიტრაჟო მოპასუხემ საარბიტრაჟო სარჩელზე საარბიტრაჟო შესაგებელი უნდა წარმოადგინოს საარბიტრაჟო სარჩელის მიღებიდან ხუთი დღის ვადაში;

9.8. არბიტრაჟის სხდომის ჩატარების შესახებ მხარეს უნდა ეცნობოს სულ ცოტა ორი დღით ადრე;

9.9. შეტყობინება შესაძლებელია განხორციელდეს კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით (წერილობით, ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით და სხვა);

9.10. მხარის ადგილსამყოფელის დაუდგენლობის ან მისთვის გზავნილის ან/და უწყების სხვა მიზეზით ჩაუბარებლობის შემთხვევაში, შეტყობინება შეიძლება განხორციელდეს საჯარო პუბლიკაციის მეშვეობით ბეჭდვით მედიაში დადგენილების გამოქვეყნების გზით;

9.11. არბიტრაჟი დავას განიხილავს და გადაწყვეტილებას გამოიტანს ზეპირი მოსმენის გარეშე, ან ზეპირი მოსმენით ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის შემთხვევაში;

9.12. თუ ერთ-ერთი მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს ან საარბიტრაჟო მოპასუხე არ წარმოადგენს დადგენილ ვადაში საარბიტრაჟო შესაგებელს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე;

9.13. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილი უნდა იქნას 21 (ოცდაერთი) კალენდარული დღის ვადაში, რომელიც აითვლება საარბიტრაჟო სარჩელის მოპასუხეზე ჩაბარების დღიდან;

9.14. არ არის აუცილებელი, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიცავდეს სამოტივაციო ნაწილს.

9.15. საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს არბიტრაჟს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ;

9.16. არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ სარჩელის (პრეტენზიის) უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება დასაშვებია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.

10. დამატებითი პირობები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულება მაღლა დგას მხარეებს შორის ყველა ამ დრომდე არსებულ ზეპირი თუ წერილობითი სახის ხელშეკრულებაზე და მოლაპარაკებაზე.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) იდენტურ ეგზემპლარად, საიდანაც ერთი გადაეცემა მყიდველს, მეორე გამყიდველს, ხოლო მესამე სარეგისტრაციოდ გადაეცემა საჯარო რეესტრს.

10.4. ყველა ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში ნამდვილია, მისი წერილობითი გაფორმებისა და მხარეთა ხელმოწერის შემთხვევაში.

10.5. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.

10.6. მხარეები თანხმდებიან, რომ ერთმანეთს შორის ნებისმიერი კომუნიკაცია და ნებისმიერი სახის შეტყობინებების გაგზავნა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მისამართზე გაგზავნით ასევე, ელექტრონული ფორმით ან/და კომპლექსში საინფორმაციო აბრის განთავსების გზით. ტელეფონის ნომერზე და ელ.ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინებები ჩაითვლება წერილობითი ფორმით გაგზავნილ შეტყობინებად და ჩაითვლება მიღებულად, თუკი ისინი გაიგზავნება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მონაცემებზე. მხარეები თანხმობას აცხადებენ, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ელ.ფოსტის მისამართზე ელ.ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება მათთვის ჩაბარებულად ითვლება მისი გაგზავნის მომენტიდან და აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე სახის პრეტენზია არ ექნებათ. მყიდველი ვალდებულია მისამართის, ელ.ფოსტის ან ტელეფონის ნომრის შეცვლის შემთხვევაში აცნობოს იგი გამყიდველს, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულებაში მითითებულ მონაცემებზე გაგზავნილი შეტყობინებები ჩაითვლება მიღებულად, რაზეც მყიდველი აცხადებს წინასწარ თანხმობას.

10.7. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი დანართი თუ დამატება/ცვლილება წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მათში მოცემული პირობები აღსრულდება ხელშეკრულების პირობებთან ერთობლიობაში.

10.8. მხარეთა უფლება-მოვალეობები და ხელშეკრულების შესრულების პირობები, რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

11. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

გამყიდველი	მყიდველი
შპს "ლისი ფო"	შპს „ანი"
(ს/კ 404859792)	(ს/კ 212819360)
	გიორგი თუთისანი
წარმომადგენელი	წარმომადგენელი
ეთერი ღონღაძე	გიორგი თუთისანი
(პ/ნ 01005041043)	(პ/ნ 60001022873)

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი № 3215
თარიღი "18" [illegible] 2025 წ.
გვ.რაოდენობა 12 ხელმოწერა [illegible]